№ 12 იანვარი 17, ხუთშაბათი 1891 იანვარი 17, ხუთშაბათი № 12

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბარებლად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუდიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძველს პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორი კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ა. ი. ფიურერის ცირკი

**17** იანვარს გამართული იქნება საუცხოვო წარმოდგენა სულ ახალის პროგრამითა და მთელის დასის მონაწილეობით. დასასრულ წარმოადგენენ ახალს პანტომიმას.

„ნეაპოლიტანელი მეკასრე“

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება წარმოსადგენად ისტორიული პანტომიმა—ტარას ბულბა.

ყოველ დღე გვმართავ"ნ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის მლიერ დაკლებულის ფასით და საღამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეკვრობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ-ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, საღამოსი—8 საათზედ.

ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთ შეკრებილება ამით აცხადებს, რომ უმართებულესის სენატის დეპარტამენტ გეროლდიისა უქაზის ძალით 26 ნოემბრის 1890 წელსა № 6735 იგი შეუდგება მინგრელიის მკვიდრთა თავადთა და აზნაურთა ღირსებათა განხილვას, იმის გამო მოუწოდებს ყველა მსურველს, რათა მათ წარმოადგინონ თვისი ამ საგანზედ სიმართლენი. (3—1)

## ახალი ამბავი

—

*** პროფესორ კოხის მიერ მოგონილმა ჭლექის წამალმა, რომელიც უკვე მოიტანეს ჩვენშიაც, დიდი ძალი ავადმყოფები მოიწვია ტფილისში საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ. ყოველ დღე ტფილისის საავადმყოფოს, სადაც სცდიან კოხის წამალს, დიდ-ძალი წერილები მოსდის კავკასიის ქალაქებიდამ და დაბა-სოფლებიდამ. ზოგიერთნი ავადმყოფნი შორის ქვეყნებიდამ მოსულან ტფილისში, აქ ელიან განკურნებას ჭლექისა და სიჭლექის სიწეილისაგან (Lupus). პირველად, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კოხის ლიმფით უწამლეს სამს კაცს და ერთს ქალს. სიჭლექის სიწეილით შეპყრობილთ. შემდეგ ორშაბათს ერთს მიწის მზომელს ტფილისის სამოსამართლო პალატისას, სამშაბათს კიდევ—ერთ სხვა ქალს და გუშინ-კი ერთ აფიცერს, ამავე სატკივრით შეპყრობილს. ამ შვიდსავე ავადმყოფს საცდელად ბ-ნი მაისურიანცი დღე გამოშვებით სწამლობს კოხის ლიმფით, პირველად ერთს მილიგრამს ხმარობს და მერე ცოტა მეტს. პირველ რიგის ავადმყოფებს ორ სანტიგრამამდე ლიმფით უწამლა. ავადმყოფებს წამლობას შემდეგ სიცხეს აძლევს, რომელიც 40 გრადუსამდე ადის, იარები უწყობს ჩხვლეტას და ჯერ სხვა არა-რა ეტყობათ მორჩენისა, თუმცა მკურნალთ დიდი იმედი აქვთ ამ გვარის წამლობისა. იქით კვირას კოხის ლიმფას პირველად სცდიან ავადმყოფებზე, რომელთაც სიჭლექე ფილტვებში და ყელში აქვთ. როდესაც პირველ და მეორე რიგის ავადმყოფების მორჩენის ცდა გათავდება ქალაქის საავადმყოფოში, მერე სჯა ექნებათ კავკასიის სამკურნალო მმართველობაში და შემდეგ ამის შესახებს ცნობას გაუგზავნიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტს და, თუ ამ უკანასკნელმა ნება დართო პროფესორ კოხის ლიმფით ჭლექის წამლობისა, მაშინ ტფილისის მკურნალნი დაიბარებენ კოხის ლიმფას და დაიწყებენ ჭლექის წამლობას ყველგან ტფილისში.

*** ეს მეხუთე დღეა, რაც რუსეთის ფოსტა არ მოსულა ტფილისში. არც გაზეთები, არც წერილები რუსეთიდამ აღარა მოდის-რა.

*** ტფილისში ხმა არის გავრცელებული, რომ ტფილისის ვიცე-გუბერნატორს ჰნიშნავენ ერევნის გუბერნატორადაო.

*** ტფილისის საქალაქო გამგეობის წევრთა და მდივნის არჩევანი დანიშნულია ოთხშაბათს, 21 იანვარს, ახალ საბჭოს პირველს კრებაზე.

*** იმერეთიდამ ზოგიერთს მემამულეებს უთხოვნიათ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის იონჯის თესლი. საზოგადოებას ახალი თესლი თვითონ არა ჰქონია და ურჩევია ვისაც უნდა მიჰმართონ ამ თესლის მოსაპოვებლად.

*** წარსულს სამშაბათს ქართულს თეატრში წარმოადგინეს ბ-ნ პეტრე უმიკაშვილის მელოდრამა „დამარცხებულნი“. ეს მეორედ არის, რომ ეს ახალი პიესა ითამაშა ქართულმა დრამატიულმა დასმა ამ სეზონში, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველად უფრო კარგად და მოხდენილად წარმოადგინეს, ვიდრე მეორედ. როლებიც პირველად გაცილებით კარგად იცოდნენ, ეხლანდელზე. მიზეზი იმისა, რომ ეს წარმოდგენა გაფუჭდა პირველთან შედარებით ის იყო, რომ ქ-ნის ავალიშვილის როლს ქ-ნი საფაროვისა თამაშობდა და ბ-ნის აბაშიძის როლს ბ-ნი გედევანოვი, მაგრამ ვერც საფაროვისამ გასწია ავალიშვილის ქალის მაგიერობა და ვერც გედევანოვმა აბაშიძისა. მიუხედავად ამისა პიესა საზოგადოებას ძალიან მოეწონა და რამდენჯერმე ტაშის კვრითა და „ვაშას“ ძახილით გამოიხმეს პიესის ავტორი, ბ-ნი უმიკაშვილი, სცენაზედ. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი რუსულის ენის სწავლებისათვის ქართულს სკოლებში: Русское слово или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ, часть вторая, книга для чтенія, შედგენილი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის-მიერ. ეს ორივე ნაწილი, ეგონებთ, შარშანწინ ერთ წიგნად დაიბეჭდა, შარშან პირველი ნაწილი ცალკე წიგნად დაიბეჭდა და წელს ამ პირველს ნაწილს მეორეც მოჰყვა აგრეთვე ცალკე წიგნად. პირველს ნაწილში პირველდასაწყისი სავარჯიშო და მასალაა მოთავსებული რუსულის ენის სასწავლებლად ქართველ ყმაწვილებისათვის. ეს მეორე ნაწილი-კი საკითხავი წიგნია და შიგ მრავალი ადვილად საკითხავი და ადვილადვე გასაგები პატარ-პატარა წერილი და ლექსია, ისეთი წერილები და ლექსები, რომლის შინაარსი ყმაწვილმა უკვე იცის ქართულად „დედა-ენის“ შემწეობით. არის ისეთი წერილები და ლექსებიც, რომელიც „დედა ენაში“ არ არის მოთავსებული, მაგრამ შინაარსით იმდენად მარტივი და სადაა, რომ ქართველს ყმაწვილს მისი გაგება არ გაუჭირდება. ამ მეორე ნაწილში მშვენიერად არის ნათარგმნი რუსულად ზოგიერთი სახალხო ლექსი. მშვენიერად არის ნათარგმნი მაგალითად, „მოდი, ენახოთ ვენახი“ პროზად, „ტოროლას მაინც არ მოვკლავ“, „წუთი სოფლის სტუმრები ვართ“, „ნეტავ არ დავძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ“ ლექსად და სხვ., თარგმნილი ბ-ნ და ქ-ნ ცხორჟევსკის მიერ. ჩვენ აქ ვერ შევალთ ამ წიგნის შედგენის მეთოდის განხილვაში და არც იმის განმარტებას გამოვეკიდებით, რამდენად უფრო შესაფერია ამ ახალ სახელმძღვანელოს პირველი და მეორე ნაწილი რუსულის ენის სასწავლებლად სკოლებში ყმაწვილებისათვის, შედარებით იმ სახელმძღვანელოსთან, რომელიც წინად იყო ხმა-

# ფელეტონი

„ღმერთო ნუ მიწყენ“!

V*)

ერთის წლის მოშორებამ ილიკოს მთლად დაავიწყა ტასო. ათასში ერთხელ თუ მოიგონებდა, ისიც მაშინ, როდესაც თვისი დედა მოაგონებდა. თუმცა-კი ყოველს მისს მოგონებაზე სიამოვნების ღიმილი გადურბენდა ხოლმე პირი-სახეზე. ამ ხანებში ილიკოს დედას წერილი მოუვიდა ქალაქიდამ. იწერებოდნენ, ილიკო ჩამოიყვანეო. ტასოც დედასთან ერთად დიდს მზადებაში იყო. ტასოს ისე ილიკოს ჩამოსვლა არ ახარებდა, როგორც ის ახალისებდა, რომ დედამ მათთვის განსაკუთრებული ოთახი მოამზადა. ტასო მთელი დღე თავის ოთახის ლაგებაში იყო. გოგოსაც-კი არ უშვებდა დასაგველად. ყოველს დილას რო გაასწორებდა თავისს საწოლს, მერე ილიკოსთვის მომზადებულს საწოლს, უკვე გასწორებულს, ხელ-მეორედ აშლიდა და ისევ გაასწორებდა.

ილიკო გულის ფანცქალმა არტანა და სიხარულით ფეხზე ალაგ იდგა, როდესაც თავისს დედასთან ერთად ტასოს სახლში შესდგა ფეხი. სული-სულაზე იდგა და ელოდდა, დაენახა გახარებული სახე ტასოსი, რომელიც სიცილიც მოესალმებოდა. ილიკოს მოლოდინი არ გამტყუნდა; გაიღო კარები და ტასო მხიარულად მიეგება ილიკოს. ილიკო გაწითლდა, ხელი ჩამოართვა და აკოცა. მინამ რძალ-მული ერთმანეთს მოიკითხავდნენ, ტასომ ილიკო თავისს ოთახში გაიპატიჟა, რომ ეჩვენებინა მისი მორთულობა. ტასო სიამოვნებით ელაპარაკებოდა ილიკოს, უქებდა მისთვის მომზადებულის საწოლის სილამაზეს, უამბობდა, რომ ყოველ დღე მე ვალაგებდი ამ ოთახსაო. ილიკო ღიმილით, უსიტყვოდ მისჩერებოდა თვალებში, თავს უქნევდა ყოველს სიტყვაზე და გულში-კი სხვა აზრი ჰქონდა. ილიკოს უხაროდა, რომ ერთს ოთახში ვიქნებით მე და ტასოვო, მხოლოდ ერთი რამ გარემოება აწუხებდა და თავისს თავს საყვედურს ეუბნებოდა ამ ერთის გარემოების გამო. გზაში სულ იმას ფიქრობდა, რომ ნახვის უმალვე ტასოს გადავეხვევი და ძალიან, ძალიან ვაკოცებო და ის-კი არა თუ ისე უგრძნობლად აკოცა, თითქო, ხატს ემთხვიაო.

ეს გარემოება ვერ მოესვენებინა ილიკოს და მისი ნორჩი გული შფოთავდა და სწუხდა, რატომ ტასოს კოცნამ ის სიტკბოება არ მავრძნობინა, რომელსაც მოველოდდიო. იმიტომ, რომ, იმ წამს რაღაც-ნაირად გავხდიო, გაფიქრა ილიკომ და მოუთმენლად მოჰხვია ტასოს ხელი და წყნარად, სიყვარულით სავსე სახე საკოცნელად მიუახლოვა. ტასო, რომელსაც სულ სხვა ფიქრები აწუხებდა, ამ დროს ისე იყო გართული ლაპარაკში, რომ თითქო სრულიად არ გააკვირვა ამ მოულოდნელმა ალერსმა, პატარა ხნობით შესწყვიტა თავისი ლაპარაკი და უმანკოებით გაუშვირა ილიკოს თავისი ტუჩები საკოცნელად.

ეხლა-კი მოისვენა ილიკომ. თან სირცხვილმა თითქო სახე გაუწითლდა კიდეც. ერთხელ კიდევ უნდოდა ეკოცნა, მაგრამ თავი დაიკავა. უცნაურად აუჩქროლდა გული, სიამოვნების ღიმილით მოჰკიდა ტასოს ხელი, თითქო მით უნდა ეთქვა, ეხლა-კი მოვიკალ ჩემი სურვილიო და დედასთან გაიყვანა.

— დედა, წამო, მე და ტასოს ოთახი ნახე, როგორია,—უთხრა მხიარულად ილიკომ დედას და პასუხის მოუსმენლად ისევ გამოტრიალდა ხტუნვით. ტასოც გამოაქცუნა და მხიარულის კისკისით და-ძმანი თავისს ოთახში შეცვივდნენ.

ილიკო რეალურს სასწავლებელში სწავლობდა, ტასო-კი იმ მოსაზრებით, რომ დედათა სკოლებში ბავშვი ფუჭდებაო, დედამ არსად არა მისცა და რადგანაც შეძლებაც ნებას აძლევდა ორი სახლში მოსიარულე მასწავლებელი დაუჭირა: ერთი მუსიკას ასწავლიდა, მეორე-კი—სამეცნიერო საგნებსა. ამ ნაირად იყო მოწყობილი ბავშვების სწავლის საქმე.

ილიკო რომ გიმნაზიაში წავიდოდა, ტასოს მასწავლებლები მოსდიოდნენ სახლში, თუმცა ერთნაირი ჯაფა არ ადგათ სწავლაში, მაგრამ ერთნაირის ხალისით-კი სწავლობდნენ. ილიკო რომ სკოლიდგან დაქანცული მოვიდოდა, ტასო მხიარულად კიბეზედ მიეგებებოდა, ჩამოართმევდა წიგნებს, შეარბენინებდა თავისს ოთახში; მერე ამოიღებდა ილიკოს დღიურსა და სწავლის მიშნებს გაუსინჯავდა. ამ დროს ილიკო ყოველთვის ალერსით შესცქეროდა ტასოს, რადგანაც იცოდა, რომ კარგის ბალებისთვის იმისი ალერსი ელოდდა.

— აი დედა, ილიკოს ყოველთვის კარგი ბალები აქვს ხოლმე.

— აბა ახლა შენი ბალები მაჩვენე, ეტყოდა ხოლმე ილიკო.

ტასო მაშინვე სიცილით გაიქცევოდა თავის დღიურისკენ, ორივე ხელებით გულზე მიიფარებდა და ეშმაკურად ეტყოდა:

— არა, მე ცუდი ბალები მაქვს, არ გაჩვენებ და ილიკო რო ხვეწნას დაუწყებდა, ის თითონვე გადაშლიდა თავისს დღიურსა და ბალებს აჩვენებდა.

— თითქო ცუდი ბალები მაქვსო, ეტყოდა ხოლმე ილიკო: შენ უფრო ჩემზედ კარგი ბალები გიზის! ტასო კმაყოფილებით გაიცინებდა და ილიკოსთან ერთად ხელი ხელს ჩაკიდებული სადილად გავიდოდნენ; სადილზედ ყველას მაგიერად ტასო ტიკტიკებდა. იმის ლაპარაკის საგანი მომეტებულ ნაწილად ილიკო იყო, რომელიც ჩუმად, ღიმილით შესცქეროდა ტასოს თვალებში და მოუთმენლად ელოდდა, მალე გათავებულიყო სადილი, რომ მარტო დარჩენილიყვნენ. სუფრიდგან ისევ პირველი ტასო ადგებოდა ხოლმე. რა გაათავებდა უკანასკნელს კერძსა, იმ ნაირს სახეს მიიღებდა, თითქო მეტი ხანი სუფრაზედ ჯდომა ტანჯვაა იმისთვისაო, გადმოცუცდებოდა სკამიდან, შეჰმუხნულსი სახით დედასთან საკოცნელად მივიდოდა, მერე ილიკოსაც გადმოაცურებდა სკამიდგან და ერთად სასტუმრო ოთახში გავიდოდნენ. აქ ტასო მიუჯდებოდა პიანინოს და თავისს გაკვეთილს ამზადებდა. ილიკო, რომელიც პიანინოს გვერდზე მიუჯდებოდა, ჯერ ჩუმის კმაყოფილებით შესცქე-

*) იხ. „ივერია“ № 9.

რებაში როგორც მაგ. კალანდარაშვილის სახელმძღვანელო. ამაების განხილვა შორს წაგვიყვანს და მეტად დაწვრილებული საგანიც არის. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს სახელმძღვანელო მოწონებულია კავკასიის სწავლა-განათლების მთავრობის მიერ. ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილიც, ისე როგორც პირველი, გარეგნობით ძალიან სუფთად და ლამაზად არის დაბეჭდილი, შემკულია მრავალის სურათით, რომელიც ცხოვლად გამოსულა დაბეჭდვაში. ქაღალდიც ძალიან კარგი ქაღალდია. მეორე ნაწილი თითქმის ერთი ორად მეტია პირველს ნაწილზე და ერთი ორად იმაზე იაფად-კი ღირს. პირველის ნაწილის ფასია 30 კაპ., ხოლო მეორესი 40 კაპ.

*** სოფ. ვაქირი (სიღნაღის მაზრა). სოფელს ვაქირში ძალიან გავრცელდა ქურდობა. ისე ღამე არ გავა, რომ ვინმე არ გაიქურდოს. მღვდელს იოსებ ტუკუშოვს გაუტეხეს ამას წინად სახლი, საიდგანაც გაიტანეს თხუთმეტ კოდამდე პური. ქურდები იპარავენ უფრო საჭმელ-სასმელს, სხვა-და-სხვა სანოვაგეს, მეტადრე ღვინოს, ქათამს და ინდაურებს. ერთს, მაგალითად, კარ-წინვე დაუხოცეს ინდაურები, თავები ეზოში დაუყარეს და ტანი-კი თავად წაიღეს. ვინც ამ ბედნიერ დღეებისთვის ასუქებდა ან ქათამს, ან ინდაურს, თვითონ აღარ დასცალდა მით ყელის ჩაგემრიელება და ღამის რაინდებმა დაასწრეს და თვითონ გაიხარეს სხვის ნაამაგარით. 12 ამ თვისას გატეხეს აქაური მღვდლის ქვრივის მელანია ბაზიერაშვილის სახლი და გაიტანეს რაც-კი ებადა ამ უბედურსა. სახელდობრ: ორი ქვაბი, ორი თოხი, ორი ცული, ფანჯრების და განჯინების ფარდები, სკივრიდგან ბოხჩები ტანისამოსით და ხილი. ამას არ დააჯერეს ეს საცოდავი ადამიანი; შიგ სახლში დაუხოცეს ქათმები, მოხადეს ჩაფნახევრიანი ქოცო და შიგ სახლში ქუდი პერსა ჰკრეს. ამ ღამეს მელანია თავის სიძესთან იყო, იქვე ორმოცის საჟენის სიშორეზედ. კიდევ ბევრი ამ ნაირი ამბავი ხდება ჩვენს ვაქირში, მაგრამ რა იქმნება იმათი ჩამოთვლა, როცა ყურადღებას არავინ აქცევს. გაქურდულები მაშინვე ადგილობრივს მოხელეებს მიჰმართავენ ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა; მამასახლისი მივა გაქურდულთან რამდენისამე კაცით, ილაპარაკებენ, თუ რა ღონის-ძიება უნდა იხმარონ ქურდობის მოსასპობლად სოფელში; ლაპარაკის დროს ამ მთის ამბავს იმ მთას მიახლიან, ძველს ამბავს ახალს შეუდარებენ და ამით გათავდა სოფელში ქურდობის მოსპობის საქმე. არც თუ სხვა ვინმე აქცევს ჯეროვანს ყურადღებას ამ მავნებელს საქმეს.

*** ყ. ლანჩხუთი: აქაურს რკინისგზის სადგურში იანვრიდამ ბუფეტი გაჰმართეს. ბუფეტი რიგიანად არის მოწყობილი, მაგრამ სახალხო მატარებელი ორ სამ წუთის მეტს არ ჩერდება, რითაც ძლიერ შევიწროებულია მგზავრი. მგზავრნი შედიან ბუფეტში, თხოულობენ საჭმელ-სასმელს, ჭამას-კი ვერ ასწრობენ. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ რკინის-გზის მმართველობას მიექცია ყურადღება ამ გარემოებისათვის და, როგორც სხვა ბუფეტთან სადგურებზე, აქაც 7—8 წუთით მაინც შეეჩერებინა მატარებელი.

*** იქიდამვე: ჩვენში ერთი თვეა იქნება, რომ თოვლი და წვიმა არ გვინახავს, სულ მზიანი და თბილი დღეებია, მხოლოდ დრო გამოშვებით ჰქრის, ძრიელ ცივი და სუსხიანი ქარი, ასე რომ ხშირად თოვლს ვნატრულობთ, ოღონდ კი ეს ქარი მოგვცილდეს. ავადმყოფობა ახლა ცოტათი შესუსტდა, თუმცა დეკემბერში ძლიერ მოდებული იყო ყელის ტკივილი, წითელი ქარი და სხ. ყველაზე უფრო ყელის ტკივილი იყო გავრცელებული. იმისთანა ოჯახი იშვიათი იყო, სადაც ორი სამი ავადმყოფი არ იწვა, მაგრამ ახლა ღმერთმა მოგვხედა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყელის ტკივილი ველარავის იმსხვერპლებს.

*** იქიდამვე: ქ. ოზურგეთში და მის ახლო-მახლო სოფლებში ყვავილი გაჩენილა. ჯერ-ჯერობით ძლიერ გავრცელებული არ არის, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ ჩქარა გაძლიერდებოდა ეს სენი, არა თუ ოზურგეთში, არამედ მთელს გურიაში. ამაზედ მიუქცევია ყურადღება მაზრის უფროსს და მისი განკარგულებით სოფლებში გაგზავნილ იქმნენ სახელმწიფო ხარჯით ყვავილის ამცრელები. ერთი იმათგანი ჩვენს სოფელშიაც ჩამოვიდა. ყველაზედ უწინ სკოლის მოწაფეებს აუცრა.

*** ოსეთი: ბარის ოსეთს აქამდე ერთად-ერთი დედათა სკოლა ჰქონდა კავკავში. ეს სკოლა უმაღლესმა მთავრობამ მოინდომა გადაეკეთებინა საეპარქიო დედათა—სკოლად, მაგრამ სამღვდელოებამ არ ინდომა ასეთი გადაკეთება. დღეს ეს სკოლა გაუქმებულ იქმნა, როგორც სწერს გაზეთი «Тер. Вѣд.»-ი და მის ნაცვლად ორგან გაიმართა სოფლად სკოლა, რომლებშიაც ყმაწვილებს შეეძლებათ სწავლა და ქალებსაც.

*** ბათუმიდამ სწერენ გაზ. „Кавказъ"-ს, რომ ამ უკანასკნელს ხანებში ბათუმი ძალიან გაიზარდა, გაშენდა, გალამაზდა და კაცი ველარ იცნობს, ისე იცვალა ფერიო. ყველგან ახალს შენობას აგებენ, ახალი მაღაზიები იმართება, სასტუმროები, ტროტუარები და სხ. ამის გამო ბათუმს დიდძალი მუშა ხალხი დაესხა თავს. მუშა ხალხი იმდენია ბათუმში დღეს, რომ მრავალს სამუშაო ველარ უშოვია და დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ამ გაჭირვებულთათვის არავინ ზრუნავს, არც ქალაქი და არც სხვა ვინმეო.

*** ამავე გაზეთს სწერენ ოლთისიდამ, რომ აქ უცაბედად მოირტყა თოფი ტრტად ქურქჩიანცმა, რომელიც ცხენით მიდიოდა სხვაგან. გადმოვარდა ცხენიდამ და ისე უხერხულად დაეცა, რომ თოფი გაუვარდა და გულში მოხვდაო. ტყვია ფილტვებს ასცდენია და მკურნალთ იმედი აქვთ, რომ ყმაწვილი სიკვდილით არ მოკვდებაო.

*** ქართულს დრამატიულს არტისტებს განუზრახავთ მომავალს შაბათს, 22 იანვარს, ქართულს თეატრში გამართონ წარმოდგენა ავადმყოფისა და გაჭირვებულის სომხის არტისტის ბ-ნის ადამიანის სასარგებლოდ. იმედია, რომ ამ არტისტის სახელის ხსენება ბლომად მოუყრის თავს თეატრში წარმოდგენის დღეს ჩვენ განათლებულს საზოგადოებას მიუხედავად ეროვნობისა. („Нов. Обоз.")

*** „Новое Обозрѣніе"-ს გუშინდელს №-ში დაბეჭდილია პატარა წერილი ოზურგეთიდამ იქაურის სასულიერო სასწავლებლის ს. შემოქმედში გადატანის შესახებ. თავდაპირველი აზრი ამის შესახებ ეკუთვნისო, ამბობს გაზეთი, რევიზორს, რომელიც წარსულს გაზაფხულს იყო ოზურგეთში. ხოლო წინად ამისა სასწავლებლის მმართველობას უნდოდა ამავე აზრის განხორციელება, მაგრამ სამღვდელოთა კრებამ არ დაანახა შესაძლოდ ოზურგეთიდამ შემოქმედში სასწავლებლის გადატანა და ერთ ხმად უარყო წინადადება ამის გამო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქაურმა სამღვდელოებამ შეიძინა ოზურგეთში თვით საუკეთესო ადგილი და ორიც სახლი განიერის ეზოთი და მშვენიერის ბაღითურთ 13 ათას მანეთად. მართალია ეხლანდელ სასწავლებლის სადგურს ბევრი ისეთი რამ აკლია, რაიცა სასწავლებლისათვის აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ყოველსავე ამას სამღვდელოებაც გრძნობს და რამდენადაც შეძლება ნებას აძლევს, არაფერს ზოგავს სასწავლებლის გაუმჯობესებისათვისაო.

ურიგო არ იქნება ზემო თქმულს ჩვენის მხრით დავუმატოთ, რომ როგორც ვიცით, გურიის სამღვდელოებამ 1883 წელში ადგილი და სახლები სასწავლებლისათვის შეიძინა თ—დის გ. გურიელისაგან 13 ათას მ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება 30 ათას მ. იყო დაფასებული. ამ იშვიათმა კეთილ-მოქმედმა 17 ათასი მ. დაუთმო სამღვდელოებას, რომელიც იმ ჟამად ისე ქანც-გაწყვეტილი იყო კერძო კაცებისაგან სასწავლებლის სადგურის ქირაობით, რომ ოთხ-კლასიანი სასწავლებელი უნდოდათ ორ კლასიანად გადაეკეთებინათ. ამ დროს ამ პატივცემულმა თავადმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სამღვდელოება იმით გამოიხსნა, რომ თავის საკუთარი სასახლე და ბაღ-ბაღჩა ნახევრს ფასზე კიდევ ნაკლებად დაუთმო და საშუალება მისცა სამღვდელოებას, ეს სამარცხვინო აზრი არ გაეხორციელებიათ. ამ ნაირად თ—დის გრიგოლის წყალობით გურიის სამღვდელოებას დღეს საკუთარი აქვს სასწავლებლის სადგურიც, ეზოც, ბაღ-ბაღჩაც და რა ჰკუა იქნება, რომ სასწავლებელი ისეთს ადგილას იქმნას გადატანილი, სადაც ყოველივე ეს ხელახლად უნდა შეიძინოს სამღვდელოებამ. რატომ უნდა მოხდეს ეს ასე, როცა ოზურგეთს არაფერი დაუშავებია ამ სასწავლებლისათვის და არა გვგონია, რომ შემოქმედმა გაუკეთოს და შესძინოს რამე?

*** ამ თვის 15, ღამით, ქართველთა პირველი როტის იუნკერმა კონსტანტინე ივანოვმა იუნკრის სასწავლებლის პირის-საბანს ოთახში ბერდანკის თოფი დაიცა პირში და თავი მოკლა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. აკეთი (გურია), 11 იანვარი. ჩვენს სოფელში იყო ეკკლესია, რომელიც, როგორც ხალხური ზეპირგადმო-

---

როდა ტასოს, მერე იმ გრძნობით, თითქო შეშურდაო, რომ ტასო ნოტებს უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა, ვიდრე იმასა, უცბად წაავლებდა ხელებში ხელებს და რაღაც ნაირად მორცხვად ეტყოდა: „ეხლა-კი კმარა, დაისვენეო". ილიკოს ამნაირი ქცევა ტასოს ყოველთვის გულში იამებოდა ხოლმე. ისე შეჩვეული იყო ილიკოს ამ ნაირ ყურადღებას, რომ წინადვე მიუხვდებოდა ილიკოს განზრახვასა და, რა შეამჩნევდა ამას, იმ ნაირად ააყოლებდა მთელს ტანს ყოველის თითის მოძრაობას, რომ ილიკოსაც აგრძნობინებდა—ეხლა-კი დრო არის, გამაწყვეტინეო. ეს რაღაც საიდუმლო ლაპარაკი იყო, რომელსაც დაძმანი ნელ-ნელა ეჩვეოდნენ და გონება-დაუტანებლივ შეჰხაროდნენ, რადგანაც ეს საიდუმლო ლაპარაკი უცნაურს, ტკბილსა და საამურს წუთს აგრძნობინებდა ხოლმე.

ხანდისხან ილიკოს მოსწყურდებოდა ტასოს ალერსი; მაშინ შევიდოდა თავისს ოთახში და დაღვრემილი პირქვე დაემხობოდა საწოლზედ. თავდაპირველად ტასო, გაკვირვებული ილიკოს არა ჩვეულებრივის ყოფა-მდგომარეობით, სცდილობდა გაემხიარულებინა, ხოლო შემდეგში-კი ტასომ უკვე იცოდა, რას ნიშნავდა ილიკოს ამ ნაირი ქცევა;—იმას უნდოდა ალერსი და ტასოც არ აკლებდა ამ ალერსს: ჯერ თავზედ ხელს გადუსვამდა, ჰკითხავდა, ხომ არა გტკივა-რაო; მერე ლიტინს დაუწყებდა და ილიკოც ხარ-ხარს მოჰყვებოდა, ან კიდე—ილიკო რომ გაკვეთილს ამზადებდა, ტასოს დედისაგან დაშლილი ჰქონდა იმ ოთახში შესვლა; მაგრამ საკმარისი იყო ტასოს ნელის ნაბიჯით და ერთნაირის მოწყენილის კილოს სიღერით კარების სიახლოვეს გაევლო, რომ ილიკო უკვე იმას გვერდით გაჩენილიყო.

ორივემ ხომ იცოდნენ ერთმანეთის ეშმაკობა, ხომ მის განხილვა სირცხვილი არ იყო, მაგრამ მაინც კიდე დაძმანი ჰხედავდნენ, რომ ეს ეშმაკობა აღკრძალული ხილი იყო და მით უფრო ტკბილის გემოვნებისა. ეს იყო მათი საიდუმლოება, რომლის გამოაშკარავება ორივეს სირცხვილით გააწითლებდა.

### VII

რა გრძნობას, რისთვის და ვის უმალავდნენ ისინი, ამას არ შეჰკითხვიან თავიანთ თავს. ეს იყო მათი საიდუმლო გულის თქმა. ერთმანერთან გამოუმჟღავნებლად თვითოეული მათგანი დარწმუნებული იყო, რომ მისი გრძნობა განკიცხულ იქნება ადამიანისაგან და ცოდვაც არის ღვთის წინაშე. არამც თუ სხვებს უმალავდნენ თავიანთ დამოკიდებულობას, არამედ ხანდისხან ერთმანეთსაც-კი ატყუებდნენ. მაგალითად, ტასო რაიმე საქმეში გართული თავისთვის მუშაობს და ილიკოს ყურადღებას არ აქცევს. ილიკო შორი-ახლო შეჰკურებს და ვერ დაუჭერია თავი, რომ არ მიეიდეს და არ აკოცოს; მაგრამ ამ მოქმედებისა რცხვენიან—რცხვენთან მეტად აშკარად დაანახოს თავისი გრძნობა თვით ტასოსაც-კი. მაშინ ილიკო თავისს თავს ამხნევებს იმ მოსაზრებით, რომ დის კოცნა სირცხვილი არ არისო და ესეთი გამართლება სრულიად საკმარისი ჰგონია.

—მე შენ ძალიან მიყვარხარ, იმიტომ რომ ჩემი და ხარ, ეტყოდა ილიკო და მაგრად მოეხვეოდა. ტასოს ეს კოცნა გააწითლებდა ხოლმე და ილიკო, რა შეამჩნევდა ამას, გონებას ჰკარგავდა, უნდოდა დაემალა თავისი სახე, გაქცეულიყო იმ ოთახიდგან, რადგანაც ტასო მიუხვდებოდა ხოლმე ფარისევლობას. მაგრამ ეს სულ წუთიერი აღელვება იყო. გაივლიდა რამდენიმე წამი და ილიკო ისე დაშოშმინდებოდა, თითქო გულში კმაყოფილია კიდეც, რომ ტასო მიუხვდა ფარისევლობას.

მიუხვდა, გაწითლდა და წყენი-კი არ იწყინა; მაშასადამე თანამიგრძნობსო, ფიქრობდა ილიკო. მაგრამ, აქვე სასოწარკვეთილებით იფარებდა ხელს თვალებზე და გულში შეევედრებოდა ღმერთს: ღმერთო, ნეტავ ნამდვილად ვიცოდე, ტასოსაც იმ ნაირად ვუყვარვარ, როგორც მე მიყვარს! მაგრამ რა სიყვარულით უყვარდა ილიკოს ტასო? ამასაც ეკითხებოდა ილიკო თავისს თავს. როგორც და? არა. დასავით არ უყვარდა, რადგანაც ხშირად ინატრებდა ხოლმე, ნეტავ ჩემი ნათესავი არ იყოსო, თუმცა იმასაც კი ფიქრობდა, რომ ჩემი ღვიძლი და რო იყოს, მაშინ სულ ვკოცნიდი, არავის არ მოვერიდებოდიო; აქვე ის აზრიც გაურბენდა თავში, რომ და რომ იყოს, ხომ არც ასე მეყვარებაო. მაშ როგორ უყვარდა? როგორც თავის საცოლო? არა, არა. ამ აზრის ფიქრად გაელვებაც-კი ზიზღს ჰგვრიდა; რადგანაც ამ ნაირს სიყვარულს მოსდევდა რაღაც ნაირი პირუტყვული გრძნობა, რომლისაგანაც ილიკო შორს იყო. არა, არც იმნაირად უყვარდა, არც ამ ნაირად. რა სიყვარული იყო იმის სიყვარული, არ იცოდა, ხოლო თავის გრძნობას ასე ჰხსნიდა: მინდა სულ ტასოს ვუყურო, იმას ვეალერსო, იმასაც ვუყვარდე მხოლოდ მარტო მე და სხვა არავინ, ჩემი იყოს, მთლად მე მეკუთვნოდეს, და მე იმას. ასე მძლავრი სიყვარული ჰქონდა ილიკოს ტასოსი და მის გულის შუქთვა ის იყო, რომ ამ ნაირსავე მძლავრ გრძნობას ტასოს ვერ ატყობდა. ტასო, ორის წლით უმცროსი ილიკოზე, ჯერ სულ თორმეტის წლისა იყო და ის განსაკუთრებული მღელვარება, რომელსაც ილიკო ჰგრძნობდა,—იმას ჯერ სრულიად არ მიჰკარებოდა. ტასოს უყვარდა ილიკო, როგორ არ უყვარდა! იმასთან ერთად ყოფნა ყოველთვის ესიამოვნებოდა, უიმისოდ ტასო ნაღვლობდა, ილიკოს ალერსისაც ალერსით ეპასუხებოდა, მაგრამ ერთის განსხვავებით-კი. ილიკოს ისე არ შეეძლო გამოჰლაპარაკებოდა, გაჰხუმრებოდა ტასოს, რომ მღელვარებისაგან არ გაწითლებულიყო; ენა დაებმოდა, გული საშინლად დაუწყებდა ცემას. ტასო-კი ისე თავისუფლად, ასე დამშვიდებულის გულით ეალერსებოდა ილიკოს, როგორც თავისს ღვიძლს ძმას. მხოლოდ ერთს შემთხვევაში ტასო იგრძნობდა ხოლმე უცნაურს გულის ჩქროლას, თითქო რაღაცამ შეაშინაო და გული შეუფთხოვო. ეს მაშინ, როდესაც ილიკო თავ-დაიწყებული ტუჩებს დააკონებდა ხოლმე ტასოს ტუჩებს! ამ დროს ტასოს პირისახეზე სიწითლე გადურბენდა და რაღაც ნაირის შეშინებულის სახით ილიკოს ნიდაყვით მოიშორებდა ხოლმე.

პავლიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

ცემა მოგვითხრობს, უთუოდ აშენებული თამარ მეფის დროს. ასეთი გადმოცემის დამტკიცება შეეძლო მის აგებულობას, წარწერას და ნივთეულობას. პატარა გორაზედ, რომელსაც ერთის მხრით ჩაურბის მდინარე აცაურა, იყო აზიდული ირგვლივ ქვითკირის გალავანი სიმაღლით ორს საჟენზე მეტი. ეს გალავანი, ადგილით ოცს ოთხ-კუთხს საჟენზე მეტი, იყო ავსილი მიწით კედლების თავებამდის და ზედ იდგა პატარა, მაგრამ ლამაზად და მოხდენილად აშენებული ეკკლესია მაცხოვრისა. ამ ეკკლესიის ოსტატის შესახებ დარჩენილა შემდეგი გადმოცემა ჩვენს სალხში: თამარ მეფეს საბერძნეთით დაუბარებია ოსტატები, რომელნიც თავისს დროზე გამოცხადებულან მის წინაშე და მიუღიათ ბრძანება ორი ეკკლესიის აშენების შესახებ. ერთი უნდა აეშენებინათ ს. აცანაში (ეს ეკკლესია ახლაც არსებობს) და მეორე აკეთში. ამას შემდეგ თითონ ოსტატი შესდგომია აცანის ეკკლესიის აშენებას, ხოლო აკეთის ეკკლესიის აშენება-კი მიუნდვია თავის შეგირდთათვის. როცა დაუმთავრებიათ ეკკლესიის შენება, მეფისაგან დანიშნულს მცოდნე კაცებს დაუთვალიერებიათ და მოუწონებიათ უკანასკნელი, რის გამოც შეგირდები საჩუქრის ღირსი გამხდარან მეფისაგან. ეს სწყენია ოსტატს და საბერძნეთში დაბრუნებას შემდეგ შეგირდთათვის მოუჭრია მარჯვენა ხელი. ამ ეკკლესიის შინაგანი მორთულობა მდიდრული იყო: მრავალი ძვირფასი ნივთი და ხატი იყო აქ. უკანასკნელთა შორის ყველაზედ უფრო შესანიშნავი იყო ოქროს ხატი „მაცხოვარი ღვთაება". ხატი წინა პირს ჰქონდა წარწერა „მაცხოვარი ღვთაება", ხოლო უკანა პირზედ იყო აღნიშნული, თუ ვისგან ყოფილა შემოწირული, და თარიღი ქართულად წარწერილი. თუ არ ვსცდებით 1860 წელს ეს ეკკლესია გაუტეხიათ, გაუტანიათ ეს ხატი და მიუყიდნიათ ქობულეთში თათრებისთვის. საინტერესოა ამ ხატის მოპარვისა და გაყიდვის ამბავი, მაგრამ არ შეგვიძლია მოვათავსოთ წერილში „чтобы гусей не раздразнить". წარწერა იყო კიდევ სამხრეთის მხრით შესავალ კარებთან იატაკის ქვაზედ ქართულად, მაგრამ ქარაგმით, რის გამო ბევრი ამ წარწერის სიტყვათაგანი დარჩა ამოუკითხავი. აი ზოგი მათგანი „...აშენდა მეფობასა შინა... ბრძანებითა მისის... ჩრ.. წელსა"... ჩრდილოეთის კარებთანაც იატაკზედ იყო წარწერა ბერძნულად, რომელიც სრულიად არ ამოკითხულა. ეს ქვები ახლა მოყოლილია ეკკლესიის ნაგრევს ქვეშ.

გალავანის მიდამო იყო დამშვენებული ნაძვებით, ბროწეულის და კაკლის ხეებით. ასეთი ისტორიული განძი იყო ჩვენს სოფელში 1880 წლამდე; ამ წელში-კი დაიგრიალა აქაური ხალხის უმეცრებამ, დაეცა გუმბათის წვერს და გაანადგურა აქაურობა. ამ ჟამად ეკკლესია საჭიროებდა ცოტაოდენ შეკეთებას, მაგრამ მღვდელმა-კი დაუქადა სოფლელებს, რაც უნდა მოხდეს, ახალი ეკკლესია ავაშენოთო, ხოლო ეს დავარღვიოთ და მასალად გამოგვადგებაო. ამ აზრს დაეთანხმნენ ისინიც, ვისაც სოფლის საქმეში გარევით უნდათ ხელი მოითბონ. ამათ შეადგინეს ძლიერი დასი, სძლიეს დანარჩენთ, რომელთაც არ უნდოდათ და ენანებოდათ ახალი ეკკლესიის აგება, თავიანთი თავი გამგე და მოთავე კაცებად დანიშნეს და საქმესაც შეუდგნენ. ამ რიგად გაჩაღდა საქმე, მაგრამ იმისთანა თქვენს მტერსაც ხუ დამართოს ღმერთმა, რაც იმათ დამართეს სოფლელებს: ათი წელიწადია, რაც ხალხი იხდის შეუწყვეტლივ ფულს, ზიდავს მასალას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ხედავს ეკკლესიის შენებას დამთავრებულს. ამ გვარად თუმცა სოფელი გაიყიდა, სულიდამ ხორცამდე გაღატაკდა, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანს. სად არის მათ მიერ გადახდილი ათი ათასი მანათი და ათი წლის შრომა-წვალება და კაი ვაგლახი? ნუ თუ ათი ათასმა მანათმა და ათი წლის მთელის სოფლის ოფლის ღვრამ ვერ ააშენა და ვერ დაამთავრა ასეთი ეკკლესია, რომელიც ვარგი მეთაურობით და გამგეობით ამდენს ხარჯსა და შრომასაც არ მოითხოვდა.

ახლა საქმე ის არის, რომ ამ ბოლო დროს ეკკლესიის შენებას და მოსრულებას სრულიად აღეს ხელი და ამდენი ხნის ნაშრომი მიაგდეს უყურადღებოდ. ციხე გაუტეხა იმ მოთავე პირებს შიგნიდგან, ისინიც რამდენიმე დასებად დაიყვნენ, ზოგნი სრულიად განზე გაუდგნენ და არიეს მონასტერი. სოფლელები ახლა მხოლოდ გაიძახიან იმას „ანგარიში, ანგარიშიო", მაგრამ ანგარიშს არავინ იძლევა და სოფელი უეკკლესიოდ არის დარჩენილი. ამიტომ, უკეთუ სასულიერო მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს ამ გარემოებას, შესაძლოა, ეს სოფელი კიდევ ათს წელიწადს უეკკლესიოდ დარჩეს და სრულიად გადაავიწყდეს იქაურებს ეკკლესიაში სიარული.

იქაური

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Русскія Вѣдомост"-ში გულსაკლავი სურათია აწერილი სტუდენტობის ცხოვრებისა და მდგომარეობისა. გაზეთი ამბობს, რომ

ისეთი სიღარიბე სტუდენტთა შორის არასოდეს ყოფილა, როგორიც ეხლა არის. უმთავრესად სტუდენტებს ლექციის მოსმენის ხარჯის შეტანა უძნელდებათ, იმ ხარჯისა, რომელიც ამ უკანასკნელს წლებში ერთი-ორად გააძვირეს და გაამრავლეს. სხვა საჭიროებას ასე თუ ისე იკმაყოფილებს უმაწვილი კაცი, ზოგს მოკლებით, ზოგს წვრილმანის ვალებით. თუ უმაწვილს კაცს იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ცოტად თუ ბევრად რიგიანი სადგომი ოთახი დაიჭიროს, სარდაფში დადგება ხოლმე სადმე ქალაქის განაპირას 3—4 მან. თუ საჭმლის ფული არა აქვს, ცალიერს პურსაც კმაყოფილდება. მაგრამ წელიწადში ორჯელ ხუთ-ხუთის თუმნის სწავლის ფულის შეტანა-კი, როცა ჯიბეში ხუთ მანეთზედ მეტი არ უჩუავის, ყოვლად შეუძლებელია. ამის გამო საბრალო ხან უნივერსიტეტს მიჰმართავს ხოლმე, ხან შეუძლო სტუდენტთა დამხმარებელს საზოგადოებას. მიჰმართავს-კი, მაგრამ ვერც უნივერსიტეტი და ვერც საზოგადოება ყველა გაჭირებულს შემწეობას ვერ უჩენს, რადგან ხელ-მოკლეთა რიცხვი მეტად დიდია. ნოემბრის თვეში, მაგალითებრ 350 კაცი სთხოვდა საზოგადოებას უნივერსიტეტში შესატანის ფულით დახმარებას, მაგრამ საზოგადოებამ ასზედ ნაკლებს ძლივს გაუწია შემწეობა, თუმცა ბევრს ეცადა, რომ რაც შეიძლება ბევრის საჭიროება დაეკმაყოფილებინა. საზოგადოებამ ასეთი შემწეობა უფრო უფროსს კურსზედ მოსწავლეებს გაუწია, პირველს ორს კურსზედ მყოფნი-კი სრულიად ხელ დაცარულნი დარჩნენ, სწორედ ის მოსწავლენი, რომელნიც უფრო ბევრნი არიან რიცხვით: იურიდიულ ფაკულტეტის პირველს სემესტრზედ 500 კაცი სწავლობს და სამკურნალო ფაკულტეტში — 300-მდე.

რაღა თქმა უნდა, რომ ნამცეცებით ადამიანის კუჭი ვერ გაძღება და საზოგადოების მცირედმა შემწეობამაც სწორედ ნამცეცობა გაუწია დამშეულს სტუდენტობას. ზოგიერთნი ისეთს გაჭირვებაში არიან, რომ სწორედ ძნელად წარმოსადგენია იმათი მდგომარეობა კუჭ-მაძღარისათვის. გაზეთს ერთი მაგალითი მოჰყავს ამ გაჭირვებისა და ხელ-მოკლეობის დასასურათებლად:

ზემოხსენებული საზოგადოება სხვათა შორის უფასოდ სადილებს უთმობს სტუდენტებს, თუმცა ძალიან იაფი-კია, თითოეულად 4 მან. 50 კ., ჰღირს. რაღა თქმა უნდა, ამისთანა სადილს, და ისიც სამოწყალოს, თითო ოროლა ძალიან გაჭირვებული კაცი თუ მიეტანება, ნამდვილად-კი იმდენი კუჭ-მშიერი სტუდენტი მიაწყდა, რომ საზოგადოებამ, რომელიც წინად ყველა მისულს სტუდენტს ეხმარებოდა, გამოაცხადა,—მხოლოდ 200 სადილი გვაქვს თითოეული და ამაზედ მეტის დარიგება არ შეგვიძლიანო. ამასაც იმას კარგუნებთ, ვინც უფრო ადრე მოითხოვს, რადგან გაჭირვების მეტ ნაკლებობის გამოძიებაში ჩვენ ვერ შევალთო. მერე რა აღმოჩნდა? ზოგიერთი სტუდენტი, რომ არ გამორჩენოდა მეორის სადილს, სადილის გამნაწილებელის სახლში იმ საღამოსვე მიდიოდა და მთელი ღამე სიცივეში ელოდა, რომ დილაზედ გამოვა ბილეთების დასარიგებლად, ახლო ვიდგე, ხელ-ცარიელი არ დავრჩე და მოახლოვებული ადგილი სხვებმა არ დაიჭირონო. ახლა წარმოიდგინეთ, როგორ უნდა იყოს გაჭირვებული ადამიანი; რომ ერთის თვის მცირე სადილისათვის მთელი ღამე გარედ იდგეს სიცივეში, უძილოდ, ფეხ-ჩაუდრეკლად!

წარმოვიდგენიათ, ასეთს გაჭირებაში მყოფი სტუდენტობა რა გულით-ღა უნდა ეტანებოდეს სწავლას და რამდენი დრო უნდა მოახმარონ სწავლას, თუ მთელი დღე კუჭის საზრდოს ძებნას უნდება!..

**

ჟურნალ „Недѣля"-ს სმოლენსკის კორესპონდენტი ფრიად საყურადღებო ამბავს მოუთხრობს მკითხველებს იმის შესახებ, რომ ჩვენს ქალაქს ახლოს ერთი ახალ-შენი სოფელია, სადაც მიწის შემუშავება განათლებულს, ნასწავლს კაცებს უკისრნიათო, ნასწავლი უმაწვილი ქალები სარეცხს, საკერებლს, საჭმლის მოხარშვასა და საქონლის მოვლას უნდებიან. ეს ახალ-შენი საკუთრებაა ამ ნასწავლის ყმაწვილ-კაცებისა. პირველად რომ შემხვდა ამ სოფლის ქალი, განსაკუთრებული ვერა შევნიშნე რა, ჩვეულებრივ სოფლელ დედაკაცისაგან არაფრით ირჩეოდა, არც გარეგნობითა და არც ლაპარაკით. ლურჯი კოფთა ეცვა, წაღები და სამ-შაურიანი ხელ-სახოცი ეხვია თავზედ. გაიცნობ, დააკვირდები, ყურს დაუგდებ და მაშინვე ის გაგიელვებს ფიქრად, რომ ეს ქალი არაფრითა ჰგავს არც გლეხის გოგოს და არც ქალაქის კოპწია ქალსაო. აი ერთს ქალს რა უთქვამს კორესპონდენტისათვის:

— განა ვერა ჰხედავთ, რომ მიწის მუშაობა ადამიანს ფიზიკურად უხდება და ზნეობრივადაც. აბა ჩვენებს შეჰხედეთ, რა ღონიერები, რა ყოჩაღები არიან, წინად-კი ერთი თავის ტკივილს უჩიოდა, მეორე—ნერვების შესუსტებას, მესამეს ღვიძლი სტკიოდა, ეხლა-კი ერთს საჩივარს ვერ გაიგონებთ იმათგან. იქ, ქალაქში, ფეხს ვერ გადასდგამს ადამიანი ისე, რომ თავისის მახლობელის ჯიბეს არ წაატანოს ხელი და ასე თუ ისე წყენა რამ არ მიაყენოს ვისმე; აქ-კი თუ ვსარგებლობთ სხვისით რითიმე, ეს ჩვენი მოსარგებლე, ადამიანი-კი არა, უსულო მიწაა. ჩემის აზრით, აქაც სიყვარულია საჭირო, სიყვარული უნდა ჰქონდეს კაცს სამეურნეო შრომა-ჯაფისა, თორემ, წინააღმდეგს შემთხვევაში, მიწა გაწყრება და პურის მაგიერ თივის მეტს აღარას აღმოაცენებს... თქვენ თითონ სოფელში სცხოვრობთ და რაღა თქმა უნდა ოცნებად არავის ჩაუთვლით ზაფხულის დილის სიმშვენიერით აღტაცებასა და დატკბობას. მიდიხარ ხოლმე, მაგალითებრ, წყაროზედ წყლისთვის და ისმენ ათას-ხმოვანს ჩურჩულს ბუნებისას, რომელიც ღმერთის არსებობისა და სიცოცხლის საუკუნოებრივ შეუცვლელ კანონის ამბავს მოგითხრობს. ჰგრძნობ, რომ შენც სულ-დგმული ნაწილი ხარ სულდგმულის ქვეყნისა და ბუნებისაო, ცხოვრებას სათავეშივე უდგეხარ... ამ დროს გული სიკეთილოდ გიძგერს და შენი თავი შენვე გავიწყდება.

გლეხები ამ განათლებულს მიწის მუშაკთაც უბრალოდ „კაცებსა" და „დედაკაცებს" ეძახიან და ჯერ მემთხვევა არა ყოფილა თურმე, რომ ბატონი უწოდონ. აი ორის დედაკაცის ნალაპარაკევი ამ ახირებულ მიწის მუშაკთა შესახებ:

— განა თქმა-კი უნდა, რომ დიდად გულ-შემატკივარი ხალხია!?. თუ გაჭირება დაგადგა რამე და კარზედ მიადგები, უკანასკნელს ლუკმას არ დაიშურებენ, რჩევას მოგცემენ, პურს გაჭმევენ და ისე გამოგისტუმრებენ, სთქვა ერთმა სოფლის დედაკაცმა.

— ეგ კიდევ რა არის, ადამიანო, უპასუხა მეორემ: საკვირველი ის არის, რომ უუფროსებოდ სცხოვრობენ და რიგიანად, მართებულად კი იქცევიან, კაცები ცალკე ქოხში სცხოვრობენ, დედაკაცები—ცალკე და სადილის საჭმელად-კი ერთად იყრიან თავს.

ამ მოვლენას სიამოვნებით აღვნიშნავთ და ვისურვებთ, რომ ზოგიერთი ჩვენი განათლებულიც, რომელიც სოფელს ჭირივით გაურბის, დაჰფიქრებოდეს ამ ამბავს და მიჰბაძავდეს.

## რუსეთი

მრავალი მიმოხილვა დაიბეჭდა წარსულის 1890 წლისა რუსულს გაზეთებში, მაგრამ მათ შორის უმეტესად საყურადღებოა მიმოხილვა გაზეთ „Кіевлянинъ"-ისა. ვიდრე თვით მიმოხილვის შინაარს მოვიყვანდეთ, საჭიროდ ვსთვლით, მოვიხსენიოთ, რომ ზემოხსენებული გაზეთი უწინ ცოტა მრუდე გზას ადგა, ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა და მრავალჯერ კატკოვსაც ჰთანამოაზრეობდა. ასეთი იყო წინად „Кіевлянинъ"-ი, მაგრამ ბოლოს დროს ზნე იცვალა, უარჰყო წინანდელი თავისი მიმართულება, ჰგმო ადრინდელი კერპები და განახლებით ისახელა თავი. უკეთესი საბუთი ჩვენ მიერ თქმულისა თვით ზემოხსენებული მიმოხილვაა 1890 წლისა, რომელსაც სათაურად შემდეგი აწერია: „წერილი მეგობართან". აი თვით წერილიც:

„ძვირფასო მეგობარო, აი მოვრჩი ფუსფუსს და კალამს მოვკიდე ხელი, მინდა შენც გაგიზიარო ჩემის გულის პასუხები.

წავიდა ეს წელიწადიც და თავის სახსოვრად მხოლოდ რამდენიმე ახლად გაჭაღარავებული ბალანი და სახის ნაოჭი-ღა დამიტოვა. ჩვენ ვბერდებით, ჩემო მეგობარო, მაგრამ ჩვენ მაგიერ ახალნი მოდიან და იზრდებიან. ჩვენ წავალთ, ისინი დარჩებიან და თავისებურად დაატრიალებენ ცხოვრებას. რამდენიმე ჩვენი უფროსი თაობა და მათ შორის ჩვენც ვქმნით აწმყოსა, ხოლო ეს ახალნი-კი მომავალს შექმნიან. ჩვენ ძენი ვართ წარსულისა, წარსულზე ავაშენეთ ჩვენი აწმყო და შემდეგი თაობაც ასევე მოიქცევა.

მაგრამ მთავარი ის არის, ვუტოვებთ რასმე იმათ თუ არა? რითი ვსცხოვრობთ ამ ჟამად, რას ვაკეთებთ, რას ვუმზადებთ მომავალს თაობას და ან თავის თავად რა მზადება უჩვენოდ?

ბევრჯელ ჩავუფიქრდები ხოლმე ამ საგანს, წინადაც ბევრჯელ ჩავფიქრებივარ და აი ეხლაც სწორედ ამიტომა გწერ წერილსა.

არას დროს რუსეთში აზრთა მიმდინარეობა ისე ბუნდოვანი და არეული არა ყოფილა, როგორც ეხლა. იქნება მარტო მე მგონია ასე, იქნება კარგად ვერ გამომირკვევია ეს საგანი, მაგრამ დარწმუნებული-კი ვარ, რომ ჩემს გარდა ბევრი სხვაც გრძნობს ამ გვარს გამოურკვეველობას. ამ გვარი აზრთა არევ-დარევა და, თუ შეიძლება ვსთქვათ, აქეთ-იქით ლეტიალი ჩვენი მუდმივი სტუმარია ჯერ ერთი იმის გამო, რომ ღრმად ჩაფიქრება და მუშაობა გვეზარება, და მეორეც იმიტომ, რომ გვერდში ევროპა ამოგვიდგომია, ის ევროპა, რომელიც ნიადაგ სდუღს და შხრიალებს ახალ მაჭარსავით, თუმცა იგი ახალი-კი არა, დიდის ხნის პაპაა. იმისი რა მოგახსენო, ძალათი ვეპოტიებით, თუ განზე გავურბივართ, მაგრამ ეს-კია, რომ ევროპა მოილტვის ჩვენსკენ და, თუ კარ-ფანჯარა დაკეტილი დაჰხვდა, ჯუჯუტანებიდგანაც-კი შემოგვეპარება ხოლმე.

ამ რამდენისამე წლის წინადაც არეული იყო აზრები რუსეთში, დიდი შეცდომებიც მოუვიდათ, მაგრამ თვით ეს შეცდომაც და არეულობაც უფრო გარკვეული იყო, ვიდრე ეხლა. თუმცა ახალგაზრდობა სიცხეში მყოფ ავადმყოფსავით ბევრს ისეთს რასმე როშავდა, რომ ეხლა იმის მოგონებაც-კი მეხამუშება, მაგრამ მოწიფული ნაწილი საზოგადოებისა უფრო გარკვეულად სჯიდა ყველაფერს. ჩვენს ლიბერალებს და კონსერვატორებს თავთავისი იერი ედოთ, თავისი დროშები ჰქონდათ აშართული და პროგრამებიც ასე თუ ისე შემუშავებული. სლავიანოფილები ზოგიერთ საგნის შესახებ ეთანხმებოდნენ სხვა დასებს, მაგრამ ყოველს დას თავისებურობა მაინც ეტყობოდა და თავისი მიმართულება ჰქონდა—სლავიანოფილებს მიმართულება მოსკოვური აქსაკოვ-

ვისა, კონსერვატორებს კატკოვისა და ლიბერალებს „Голосъ“-ისა და „Вѣстникъ Европы“-ისა.

გაიარა პატარა ხანმა და რა დაემართა მათ დროშებს? სლავიანოფილები გაჩუმდნენ, მიიფანტ-მოიფანტნენ და ვერც შარაპოვმა და ვერც ლამანსკიმ ველარ შეიძლო, ხელ-ახლად შეეგროვებინა და რაზმი გაეწყო. ეს ესეც უნდა მომხდარიყო. შარაპოვი ეილაც წვრილმანი არა-მკითხე გახლდათ და არც-კი გაეგებოდა, რა არის სლავიანოფილობა და რა არა. მისი მიმართულება მხოლოდ სლავიანსკის მგალობელთა გუნდისა და ძველებურ თავად-აზნაურულ ჩაცმა-დახურვის სიყვარული იყო. ლამანსკი უფრო დარბაისელი შეგნებული კაცია, მაგრამ თავით ფეხამდე პეტერბურგელია, არ იცნობს მოსკოვსა და მოსკოვმაც უარჰყო იგი. სლავიანოფილები, ჩემის აზრით, აქსაკოვების გვარეულობამ შეჰქმნა, სლავიანოფილობაც მათი შინაური თავ-გარდასავალი იყო დ ივანე სერგეის ძის სიკვდილით გათავდა. მე, როგორც იცი, სლავიანოფილი არა ვარ, მაგრამ პატივს-კი ვცემდი აქსაკოვის სლავიანოფილობას, მის გულწრფელობას, გატაცებულობას და გულიანობას. რიხინიანი და გულწრფელი სიტყვა ივანე სერგეის ძისა ბევრჯელ ჰკუისთვის არაფერი გამოსადეგი იყო, მაგრამ გულს-კი ჰხვდებოდა. მეც ისე რიგად აღარ მეჩოთირებოდა, რომ აქსაკოვის კალმით დაწერილი ჩვენი ისტორია და განსაკუთრებით სურათი ევროპისა რაღაც ფანტასტიური გამოდიოდა. აქსაკოვები ერთ წილად რომ ისტორიას სწერდნენ, ერთი სამად უფრო პოეტობდნენ და ქადაგობდნენ ხომიაკოვსავით. აღარც ის მეჩოთირებოდა, რომ ბევრჯელ ისტორიულს ამბებს ამახინჯებდნენ და ისე იყენებდნენ, როგორც თვითონ ჰსურდათ. აქსაკოვები, ვიმეორებ, პოეტები იყვნენ და პოეტსავით თავისუფლად იქცეოდნენ, ისტორიულს შეცდომას პოეზიის ცხოველი ნაკადული ჰფარავდა. სლავიანოფილები ნამდვილს წარსულს-კი არ გვიხატავდნენ რუსეთისას, არამედ ისეთს, როგორიც მათ მოსწონდათ და ენატრებოდათ. მათთვის ევროპა ქვეყანა აღარ იყო, იგი წარმოდგენილი ჰქონდათ ყოველ გვარის გარყვნილების ბუნაგად, ეშინოდათ მისი და განზედ ურბოდნენ. ნამდვილ ცხოვრების მაგიერ სლავიანოფილები გვიხატავდნენ და ალგვიწერდნენ პოეტურს სურათებს, რომელიც ბევრსა სწვდებოდა გულსა, სიყვარულს უღვიძებდა რუსეთისადმი და მრავალს საწადელსა და სანატრელს საგანს უბადავდა. მამულის სიყვარული სლავიანოფილებისა ნამდვილი და ჭეშმარიტი მამულის სიყვარული იყო, ცხოველი, გულის ამაშფოთებელი, მხურვალე და მიბუნდებულის გრძნობის გამაფხიზლებელი.

(დასასრული იქნება)

---

# დეპეშა

15 იანვარი

პეტერბურგი. 14 იანვრის თარიღით ოფიციალურის დეპეშით იუწყებიან კალკუტიდგან, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი გაემგზავრა ლაგორიდგან, შეიარა ამრიტცარსა, მეტტურსა, აგრუსა, გვალიერსა და ბენარესში, ბრძანდებოდა სანადიროდ და ერთი ვეფხვი მოჰკლა. გუშინ მისი უმაღლესობა მშვიდობით მიბრძანდა კალკუტაში, სადაც რკინის გზაზე დიდის ამბით მიეგებნენ ვიცე-კოროლი და წარჩინებულნი. ჯარი და ადგილობრივი მცხოვრებნი აღტაცებით მიესალმნენ მის უმაღლესობას. ოთხშაბათს ბომბეიში გაემგზავრება.

რუს მემანუფაქტურეთა შორის შესდგა ამხანაგობა, რომელსაც ჰსურს სავაჭრო საქონლის საწყობები გამართოს ქაირსა, სმირნასა და აღმოსავლეთ ქვეყნების სხვა ქალაქებში.

„Сельскій Хозяинъ“-ი იუწყება, რომ საადგილ-მამულო ბანკების 6% გირავნობის ფურცლების კონვერსიის საქმე ჯერ სრულად არ გადაწყდა, მორიგდნენ და გადასწყვიტეს მხოლოდ ის, რომ ამ გვარი ფურცლები კვლავ აღარ გამოიცეს 1 ივლისიდგან. ვადაზე ადრე გადაწყვეტის გასაადვილებლად, გადასწყდა, რომ გირავნობის ფურცლები, რომელნიც განსხვავდებიან სხვა-და-სხვა ვადის სერიებით, გადმოიცვალოს ერთ ნაირსა და უვადო ფურცლებზე. ამასთანავე 1 ივლისიდგან 1891 წლისა გამოიცემა უვადო 5% ფურცლები.

„С.-Петерб. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ სრულიად შემუშავებულია პროექტი სასოფლო პოლიციისა, რომელიც შემოღებულ უნდა იქმნას ეხლანდელის „სოტსკებისა“ და „დესიატსკების“ მაგიერ. „სტრაჟნიკების“ ამორჩევა მიენდობა სოფლის ყრილობას. «სტრაჟნიკებს» ჯამაგირი წელიწადში 15 თუმანი ექნებათ.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება შესახებ სახელმწიფო ხაზინის ბილეთების 10 ახალის სერიის გამოცემისა 326, 371 ნაცვლად ამ გვარისავე ბილეთებისა, რომელიც 1891 წ. უნდა გაბათილდეს.

ოდესა. ნავთსადგური კვლავ შეიკრა.

ამსტერდამი. ჰოლლანდიის ბანკმა ოფიციალური დისკონტი 4%-$3^1/_2$%-მდე დასწია.

16 იანვარი

პეტერბურგი. გუშინ გაიხსნა კრება პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა. თავმჯდომარეობა დაეთმო ვარშავას საზოგადოების დელეგატს ბრიუნინგს; მდივნად ამორჩეულ იქმნა კარპახოვსკი.

კალკუტა. 15 იანვარს. გუშინ საღამოს მემკვიდრე ცესარევიჩის პატივსაცემლად სასახლეში გამართული იყო დიდი საპატიო კრება და აგრეთვე მიგებება ვიცე-კოროლისაც. აქ ბრძანდებოდნენ ბევრნი ადგილობრივნი თავადნი, სასახლის კაცნი და ყველა თანამდებობის კაცნი წარჩინებულნი ინგლისელნი. დღეს მემკვიდრე ცესარევიჩმა და პრინცმა გიორგიმ დაათვალიერეს საზოოლოგიო ბაღი და შემდეგ წაბრძანდნენ საბოტანიკო ბაღში, სადაც საუზმეც მიირთვეს. დღეს საღამოს დღესასწაული ბაღში, ხოლო მიღება სტუმრებისა ბელვედერის „პარკში“. მისი უმაღლესობა ხვალ დილით წაბრძანდება და მის განსაკუთრებულ სურვილისამებრ ოფიციალური ხასიათი არ ექმნება გამგზავრებას

## პეტერბურგის ბირჟა, 15 იანვარი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგება. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 84 | 6 87 | — „ |
| ტრამოტის კუპონები . . | 137 | $317^1/_2$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 07 | 6 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | $234^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 225 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . | — „ | — „ | $214^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი

ყვირილის ნორმალურ სასწავლებელში ითხოვება საკკლესიო რუსულ გალობის მასწავლებელი, ვისაც სურს მიიღოს თავისს თავზედ ეს შრომა, შეუძლიან მიმართოს ამავე სასწავლებლის ზედამხედველს დაბა ყვირილაში. (3—2)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Кавказскій стѣнной календарь. რუსულ-ქართულ-სომხურ-თათრულ ენებზე | 1 | „ |
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ. . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. . . | 1 | „ |
| თხზულებანი რ. ერისთავისა II ნაწ . . . . | „ | 40 |
| კედლის კალენდარი 1891 წლისა . . . . . | „ | 40 |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა . . . . | „ | 25 |
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩაბლის — დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტე ა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოხხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |


## კეთილი ექიმი
# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ. (10—10)



«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. ედისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. ედისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову". ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.



## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) კედლის კალენდარი 1891 წ., რომელიც შეიცავს საკალენდრო ცნობებს მართლ მადიდებელთა, კათოლიკეთა და სომეხთა ეკკლესიებისას, ცნობებს აგრეთვე საქართველოს საეკკლესიო და სამოქალაქო ისტორიიდგან, ანგარიშს მზის ამოსვლა - ჩასვლისას და მთვარისას, საუკეთესო ადგილებს, ამოკრებილს დამაკვირდიდგანა და ნაკვესებიდგან, შემოკლებულს ქართულს სამზარეულოს და ზოგიერს სასარგებლო ცნობას. . . . . | „ | 40 |
| 2) იგივე სტოლზე დასადგმელი შემკობილი სურათი . . . . . . . | „ | 80 |
| 3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-ით და ბიოგრაფიით | „ | 80 |
| 4) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| 5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . | „ | 15 |
| 6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . . . . . | „ | 25 |
| 7) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . . . . . | 1 | „ |
| 8) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა . . . . . . | „ | 60 |
| 9) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| 10) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა . . . . | 1 | „ |
| 11) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . . | 3 | 50 |
| 12) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა . . . . . | „ | 50 |
| 13) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . . | „ | 50 |
| 14) „არჩილიანი“ გამოც. მაჩაბლისა-დიმელისა . . | „ | 75 |
| 15) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| 16) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . | „ | 20 |
| 17) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV | „ | 60 |
| 18) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილებით. ხუსკივაძისა. . . . . | „ | 20 |
| 19) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. როსელიანისა. . . . . . | „ | 20 |
| 20) „ძეგლის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა . . . . . | „ | 25 |
| 21) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა. | „ | 10 |
| 22) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . | „ | 20 |
| 23) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა. . . | „ | 40 |
| 24) ქანნა — დარკ . . . | „ | 5 |
| 25) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . | „ | 5 |

ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა.


Тифлисъ, Дов. цен. 16-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Меликовской, д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.